

სოფელ ნაცარგორაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

24 ივლისი 2023

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან ერთად სოფელ ნაცარგორაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

პროექტი გარდამავალია, რომლის ბიუჯეტიც 1,5 მილიონზე მეტ ლარს შეადგენს. სამუშაოების ფარგლებში დაიგება 3 კმ-მდე გზა, გარდა ამისა მოეწყობა სანიაღვრე სისტემაც. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.